№ 20
ოთხშაბათი, 28 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 8 | 8 — | 3 | 3 50 |
| 9 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 20
ოთხშაბათი, 28 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 29 იანვარს,
ქართულის დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
„პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ სააკადმყოფოს სასარგებლოდ

I

**რაც გინახავს ველარ ნახავ**

კომედია 3 მოქმედებად, თხზ. ა. ცაგარლისა.

II

**აფთიაქში მელამე**

2 მოქმ. კომ. თარ. ივ. მაჩაბელ., იმერულ კილოზე გადაკ. დ. მესხისაგან.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი.

## ქართველ-ქალთა ამხანაგობის
## სახელოსნო-სამკერვალო

იღებს შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს

ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

სახელოსნო-სამკერვალოში ასწავლიან ჭრა კერვას მოზრდილ ქალებს.

აქვე შეუძლიანთ მიაბარონ მსურველთ მოსწავლეებად პატარა ქალებიც. (5—უ.—4)

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული
ახალი წიგნი

## სამღრთო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)
თ. ნ. ტ. დადიანისა

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220—4)

ორშაბათს, 2 თებერვალს,
„ტფილისის სობრანიის“ სადგომში
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ სასარგებლოდ
გამართული იქნება

## საცეკვაო საღამო

საღამო დაიწყება 10 საათზედ.

**შესასვლელის ბილეთის ფასი 2 მან. 10 კაპ.**

სამოქალაქო წოდებისანი ფრაკებით უნდა იყვნენ, სამხედრო წოდებისანი — ამისთანა შემთხვევისათვის ჩვეულებრივს ტანსაცმელში. ქალებისათვის გულ-ღია კაბები სავალდებულო არ არის.

ბილეთების მიღება შეიძლება საღამოს გამგეს, უგანათლებულესს კნეინა თამარა გრუზინსკისთან, ხოლო იმ დღეს, რა დღესაც საღამო გაიმართება,—თვით „სობრანიაში“. (4—ნ.—1)

**ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო მამულების მმართველი** ამითი აცხადებს, რომ ტყეების ზედამხედველ მოწესედ (რევიზორ-ინსტრუქტორად) დანიშნულია კოლლეჟსკი სოვეტნიკი **მიხეილ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი**, რომელიც მოვალეა მსურველთ 1) შესაფერი დარიგება მისცეს პირადად იქმნება თუ წერილობით ტყის მეურნეობის შესახებ; 2) სამეურნეო აზრით იაროს და ათვალიეროს კერძო თუ საზოგადო ტყეები და 3) თუ თავისუფალი დრო ექმნება, ხელმძღვანელობა გაუწიოს ტყეებში მუშაობისათვის.

ადრესი მაიაკოვსკისა: ტფილისი, სახელმწიფო მამულების მმართველობა. (3—ნ.—1).

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო ნადვორნი სოვეტნიკობა: სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს ჟღენტს და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-II ხარისხის მოხელეს იასე ბადრიშვილს; კოლლეჟსკი ასესორობა—ელენოვის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს ფხაკაძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: სარაყამიშის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს მგალობლიშვილს, ახალბაიაზეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს ივანე ბადრიშვილს, ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს აბაზაძეს, და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-V ხარისხის მოხელეს ორჯონიკიძეს; კოლლეჟსკი სეკრეტრობა: ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის თარჯიმანს გეღევანიშვილს, სოხუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის მე-IV ხარისხის მოხელეს ჯაფარიძეს; კოლლეჟსკი რეგისტრატორობა: ბაშნორაშენის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს ჩიკვაიძეს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მეთვალყურეს პოპიაშვილს, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-VI ხარისხის მოხელეს დაფქვიაშვილს და ცაგერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე-VI ხარისხის მოხელედ ნამყოფს ბათიაშვილს.

# ახალი ამბავი

—

⁂ ქართულ თეატრის არტისტების ბენეფისები თითქმის თავდება. ეხლა მხოლოდ სამის არტისტის ბენეფისიღაა დარჩენილი: ქ-ნ მ. მ. საფაროვ აბაშიძისა, ბ-ნ კ. ს. მესხისა და კ. შათირიშვილისა. ამათი ბენეფისებიც ამ ახლო მომავალში იქმნება. როგორც შევიტყეთ, ბ ნი შათირიშვილი სდგამს თავისს ბენეფისში „ყაჩაღებს“, შილერისას, თარგ. ნ. ავალიშვილისა; ქ ნი საფაროვისა —„ორ ობოლს“, ხოლო კ. მესხი ახალს პიესას—„ა. კაზაიანს“.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ კერძო კაცთ განუზრახავთ რუსულ-ქართულის ახალის ლექსიკონის გამოცემა. ეს ლექსიკონი გაცილებით ვრცელი იქმნება აწ არსებულს განსვენებულ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონზედ და უკეთესად შესწორებული და აცილებული იმ შეცდომებს, რომელიც ამ ლექსიკონში ცოტა არ არის. ეს ამბავი დიდად სასიამოვნოა, რადგან საჭიროება ასეთის ლექსიკონისა ყოველს ეჭვს გარეშეა. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი სასყიდლად აღარსად იშოვება და აქაიქ ერთი-ორად მეტს ფულს იძლევიან მისის შეძენის მსურველნი. მარტო ეს გარემოება აშკარადა ჰმოწმობს ასეთის ლექსიკონის საჭიროებას. სასურველია, რომ განზრახული ლექსიკონი შეძლებისამებრ ყოველს ნაკლს იყოს აცილებული.

⁂ 25 იანვარს, „კრუჟოკის“ დარბაზში, ტფილისის საქველ-მომქმედო საზოგადოების სასარგებლოდ საცეკვაო საღამო იყო გამართული. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო. დიასახლისად იყო ხსენებულის საზოგადოების თავმჯდომარე კნეინა ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვარისა. სხვათა შორის საღამოს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე და სხვანი წარჩინებულნი.

⁂ რადგანაც აზრადა აქვთ ჭიათურის შტო საჩხერემდე გაიყვანონ, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მოსამსახურეთა უფროსი ინჟენერი აკორონკო წავიდა იმ ადგილების დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად, სადაც მომავალმა ლიანდაგმა უნდა გაიაროს.

⁂ რიყეზედ მცხოვრებელთ მიართვეს ტფილისის გუბერნატორს თხოვნა, რომელშიაც ჰშუამდგომლობენ, გუბერნიის ტეხნიკოსთაგან შემდგარი კომისია დანიშნეთ მტკვრის მარჯვენა ნაპირის შესამოწმებლად, რომ ეს ნაპირი განთავისუფლებულ იქმნას იმ დაყრილ მიწისაგან, რომელიც უშლის მტკვარს თავისუფლად მიმდინარეობასაო. ასეთის საშუალებით ცოტად მაინც არას ავიცილებთ იმ უბედურებას, რომელსაც ყოველ წელიწადს ადიდების დროს მტკვარი მოგვაყენებს ხოლმე. თხოვნაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ რამდენიმე წელიწადია ვეხვეწებით ქალაქის გამგეობასა და საბჭოს გვიშველონ რამე, მაგრამ არც ერთსაც და არც მეორეს აქამომდე ჩვენთვის არაფერი გაუკეთებიათო.

⁂ ყარსის რკინის გზის სამუშაოთა ღირებულობა სახელმწიფო საბჭომ 20,850,000 მან. იანგარიშა. ამ ანგარიშში მატარებლები და ვაგონები არ ითვლება.

⁂ სამკურნალო ინსტიტუტის მიერ საქონლის ჭირის გამოსაკვლევად კავკასიაში გამოგზავნილს ფარმაციის მაგისტრს ბ-ნ ვიჟნიკევიჩს აზრადა აქვს თავისი გამოკვლევანი მოახდინოს სამხედრო-საქართველოს გზის სადგურ ფასანაურში, სადაც ბევრი სხვა-და-სხვა საქონელი იკრიბება ხოლმე.

⁂ ტყიბულის ქვა ნახშირის საზოგადოებას აზრადა აქვს ამ წლის გაზაფხულზედ შეაკეთოს საბრიკეტო ქარხნის რაოდენიმე ნაწილი, რომელიც შარშან დაიწყო. ამას გარდა ამხანაგობამ გადასწყვიტა განაახლოს მაღაროებში გაყვანილი მავთულის რკინის გზა და შეუდგეს ქუთაისში თუჯის სადნობ და რკინის საკეთებელ ქარხნების გამართვას.

⁂ ბაქოში ხმა დადის, რომ ნობელის ნავთის ქარხანა ყოველგვარ მოწყობილობით უნდა შეისყიდოს ინგლისის ერთმა ამხანაგობამ 60 მილ.

⁂ ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოების კავკასიის განყოფილება 1898 წ. 1 თებერვალს მწვანილეულობისა, ხილეულობისა, მცენარეულობისა და სხვ. გამოფენასა ჰმართავს. გამოფენა გასტანს 1—15 თებერვლამდე. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მსურველთ გამოსაფენი საგნები უნდა წარადგინონ ტფილისის საბრეშუმო სადგურში მხოლოდ დილით 12 საათამდე. გამოფენის წინა დღით-კი შეიძლება საღამოთიც.

⁂ 24 იანვარს ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურეთა კრება ჰქონდათ იმის გამოსარკვევად, თუ როგორი საპენსიო კასსა უნდა იქმნეს დაარსებული ამ მოსამსახურეთათვის. მაგრამ რადგან ამ კრებამ ვერაფერი გამოარკვია, ახალი კრება ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის ა. ა. ივანენკოს თავმჯდომარეობით შაბათს, 8 თებერვალს, შესდგება.

⁂ სამტრედიიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ აქ ამ დღეებში უფულობის გამო გაუქმებულ იქმნა ადგილობრივი წიგნთ-საცავ-სამკითხველო. ამ ამბავმა ძალიან დაალონა ადგილობრივი ინტელიგენციაო.

⁂ გაზ. „კასპი“ იუწყება, რომ ამ დღეებში ხმოსანი ა. გ. ვაჩიანცი შეიტანს ბაქოს საბჭოში პროექტს ბაქოში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებაო.

⁂ სოფ. ფშაველი. არც ჩვენ გამოგვეპარა შეუნიშვნელად ჩვენის სახელოვანის გმირის მეფის ირაკლის „პატარა კახის“, გარდაცვალების ასის წლის შესრულების ჟამი. აქაურმა მღვდელმა მ. ლ. ბერიშვილმა წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა განსვენებულის სულის მოსახსენებლად და შემთხვევის შესაფერი მოკლე სიტყვაც წარმოსთქვა. დამსწრეთ, შევავედრეთ რა მისი სული უფალს, ამასთანვე შევთხოვეთ, რომ საქართველოს კვალად მოანიჭოს მისებრნი ძლიერნი, ხოლო არა ხმლით, არამედ სულითა და გონებით... წირვა-პანაშვიდს დაესწრნენ აქაურნი თავადნი და სხვანი.

⁂ 26 იანვარს, მე-8 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ტფილისის მოქალაქემ დიმიტრი ნასედკინმა, რომ სამკერვალო დუქნიდგან ჩემმა ქარგლებმა ნიკიტინმა და კოლესნიკოვმა ერთი ნაჭერი მაუდი, 25 მან. ღირებული, და სხვა და სხვა ნივთები 91 მან. მამპარესო. პოლიციამ დამნაშავეები უკვე შეიპყრო და სასამართლოს გადასცა.

⁂ 24 იანვარს, ღამის 11 საათზედ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მოხელემ ნიკოლოოზ ეფრემოვსკიმ ვახშმობის დროს თავისს სახლში ლევორვერის ტენა დაიწყო. უცებ ლევორვერიდგან ტყვია გავარდა და მოხვდა იქვე მყოფ ეფრემოვსკის ცოლს. ტყვია საბრალოს მარცხენა თვალთან მოხვდა და ცოცხალ მკვდარი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. ეფრემოვსკიმ დასჭრა თუ არა ცოლი, მაშინვე მკურნალის მოსაყვანად წავიდა. მკურნალ ხუდადოვის სახლს ეცა და აუტეხა ზარის წკარა-წკური და კარებს ბრახა-ბრუხი. მკურნალი და მოსამსახურე მაშინვე ეცნენ კარებს და გააღეს თუ არა, ეფრემოვსკიმ ხუდადოვს ყვირილი დაუწყო, რომ ცოლი მოვკალი, რაღას უყურებ, ჩქარა წამოდიო, და გასწიეს ერთად. გზა-

ში ეფრემოვსკიმ ლანძღვა-გინება დაუწყო ხუდადოვს, ეცა და ყელში წაუჭირა ხელები. ხუდადოვსა და ეფრემოვსკის შორის გაჩნდა ბრძოლა, ბოლოს ეფრემოვსკი გამოუსხლტა ხელიდგან ხუდადოვს და საცალა მიიმალა. მკურნალმა მაინც ეფრემოვსკის სადგურისკენ გასწია, პირველი შემწეობა აღმოუჩინა დაჭრილს და უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ უცებ გაჩნდა ეფრემოვსკი, ხელ-ახლად დაიწყო ლანძღვა-გინება და ეცა ხუდადოვს. იქვე მყოფმა ხალხმა როგორც იყო მკურნალი ხელიდგან გამოჰგლიჯა ეფრემოვსკის.

## ქალაქის საბჭო.

26 იანვარი

კრება დაიწყო 9 საათზედ. წინანდელი კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ, მდივანმა წაიკითხა სია იმ ხმოსნებისა, რომელნიც კრებებზედ არ დაესწრნენ. აღმოჩნდა, რომ უმეტესობა ავადა ყოფილა.

ხმ. ფრიდონოვი. სუყველანი ავად დავხდებით, თუ ასე ყოველ დღე საბჭოს კრებაზედ ვიარეთ. სად შეგვიძლიან კვირაში რამდენჯერმე შევიკრიბნეთ ხოლმე: სხეული ვერ აიტანს. ამას გარდა, ჩვენი საკუთარი საქმეებიც გვაქვს, ჩვენის თავისათვისაც უნდა ვიზრუნოთ!

სხვა ხმოსნებმაც განაცხადეს უკმაყოფილება, ხშირ-ხშირადა ჰნიშნავთ კრებას, სხვა საქმეებიც ბევრი გვაქვს და არ შეგვიძლიან სიარული.

საბჭომ მოისმინა ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება, სამკურნალოს წესდებისა და წესების ზოგიერთის §§ შეცვლის შესახებ და შეიწყნარა იგი.

შემდეგ გამგეობის წევრმა ბ-ნმა ვერმიშევმა წაიკითხა ალმაშენებელ განყოფილების პროექტი წყლის მილის უმთავრეს სადგურის ავჭალაში გაფართოებისა და შეკეთების შესახებ. ალმაშენებელი განყოფილება თხოულობს თავისს პროექტში ამა შდგომარე 1898 წელს ამ საქმისათვის გადადებულ იქმნას 92,283 მ., მაგრამ შეერთებულმა კრებამ გამგეობისამ, საფინანსო კომისიისამ და ალმაშენებელ განყოფილებამ, განიხილა რა ეს პროექტი, დაადგინა, რადგანაც ქალაქს არ შეუძლიან ამ ჟამად 92,283 მანეთი გადასდოს, შეიტანოს წლევანდელს ხარჯთ-აღრიცხვაში ამ საქმისათვის მხოლოდ 75,100 მ. ეს ფული, კრების აზრით, უსაჭიროესს საგნებს უნდა მოხმარდეს, ხოლო დანარჩენისათვის ფული შემდეგ წელს იქმნება გადადებული.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის.

ხმ. კიუჩარიანცი. ამ ჟამად საბჭო მაგ საგანს ვერ გადასწყვეტავს. საჭიროა კარგად გავიცნოთ მოხსენება, რომ ჩვენი აზრი წარმოვთქვა, მაგ მოხსენების ერთის წაკითხვით ჩვენ ვერაფერს აზრს ვერ დავადგებით. ყველა მუხლს დაკვირვებით გაჩხრეკა და გასინჯვა უნდა. ამიტომ უმჯობესი იქმნება ეგ მოხსენება დავბეჭდოთ და დავგირიგოთ, რომ შევისწავლოთ კარგად და ჩვენი აზრი წარმოვთქვათ.

ა. ს. ზაზოვი. ხმ. კიუჩარიანცი მართალსა ჰბრძანებს: საჭიროა დაიბეჭდოს მოხსენება და დავგირიგდეს, მაგრამ ვიდრე ეს მოხერხდებოდეს, ბევრი დრო გავა და წყლის მილიკი შეკეთებას ეხლავე ჰსაჭიროებს. ამიტომ უმჯობესია ეხლა ფული პროექტში მოხსენებულ ისეთის საგნისათვის გადავსდოთ, რასაც დაყოვნება არ მოუხდება. ჩემის აზრით ჯერ-ჯერობით, ვიდრე პროექტს სრულიად განვიხილავთ საკმარისი იქმნება გადავთოთ 48 ათასი მანეთი, ამით შევიძენთ წყლის ამომღებ მილს, ქვაბს და სხვათა.

ხმ. ა. ბ. ქვანგულოვი. ამბობენ, რომ ავჭალაში ბევრი მანქანა უნდა დავდგათ, რომ წყალი ბლომად მოგვაწოდოსო. მაგრამ მე ნებას მივცემ ჩემ თავს და ვკითხავ ძველ ხმოსნებს, დარწმუნებულნი არიან, რომ ავჭალაში საკმაო წყალი არის, და მანქანები რომ მიუმატონ, წყალიც მიემატება. ჩემის აზრით, ჯერ საჭიროა ამისი გამორკვევა და შემდეგ გადადება ფულისა მანქანებისათვის.

ხმ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ჩვენ სრულიადაც არა ვფიქრობთ წყლის მომატებას; ჩვენ იმასა ვდარდობთ, რომ სულ უწყლოდ არ დავრჩეთ და ისიც არ მოგვესპოს, რაც ეხლა ავჭალიდგან მოდის. ამიტომ მოხსენების ბეჭდვას არ უნდა დაველოდოთ, უეჭველად ეხლავე გადავსდოთ ფული ახალის მანქანების საყიდლად და ძველის შესაკეთებლად.

გამგეობის წევრი გ. გ. ხოსროევი. 48,000 მან. ცოტა იქმნება. წყლის მილი იმდენს შემოსავალს აძლევს ქალაქს, რომ მაგ საქმისათვის ფული არ უნდა დავზოგოთ.

ხმ. ა. ბ. ქვანგულოვი. ბევრს შემოსავალს იმიტომ იძლევა, რომ წყალში ძალიან ბევრს ფულს ვახდევინებთ ქალაქის მცხოვრებლთ.

საბჭომ დაადგინა გადასდოს 55,302 მან. ავჭალის წყლის მილის გასაფართოებლად. ამასთან საბჭომ დაავალა გამგეობას, რომ ეს დადგენილება, რა წამსაც დამტკიცდება, სისრულეში იქმნას მოყვანილი.

ბოლოს საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვის რამდენიმე მუხლი განიხილა და კრება დაიშალა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ფშაველი, (თელავის მაზრა), 19 იანვარი. უკეღგან კახეთში და ნამეტნავად ალაზნის მარცხენა მხარეს, სადაც ადგილი გაცილებით ნესტიანი და მდინარეებით მდიდარია, ძალიან კარგად ჰხარობს ფურცელი, თუთის ხე, აბრეშუმის ჭიის სულის ჩამდგმელი. აქ ჭიის მოყვანას განურჩევლად ყველა მცხოვრებნი მისდევენ და ძალიან კარგიც მოდის, თუ რომ თესლი კარგის ჯიშისა და საღია. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც „ქართულ ჭიას“*), როგორც გაზს, სატკივარი გაუჩნდა და მოსავლიანად აღარ ივარგა. მისის დასნეულების შემდეგ აბრეშუმის მოყვანა კახეთში ძალიან დაეცა, მცხოვრებთ გული გაუტყდათ, რადგან შრომა და ხარჯი იმისის მოვლისა ფუჭად და ამაოდ შეიქმნა...

მაგრამ რის წარმოება დაცემულა და ან ამაღლებულა, განვითარებულა ჩვენში, რომ ამით ჩვენ ვაჭარ ჩარჩებს ოსტატურად არ ესარგებლათ. დაინახეს თუ არა, შინ აღზრდილის ჭიის თესლი აღარა კარგობსო, რომ მის მოყვანას შეჩვეული ხალხი ადვილად დათანხმდება ჩვენ სახეირო პირობასაო, ოღონდ საღის ჭიის თესლი მოვაშოვოთო, მაშინვე ადგნენ, მოიტანეს გასინჯული ჭიის თესლი კოლოფებით და დაუწყეს რიგება სოფლებში პირველად სანახევროდ, მერე სანასამედოდ და ეხლა სანათხლოდ...

აღორძინდა ისევ აბრეშუმის მოყვანა, მაგრამ ჩვენის ხალხისათვის-კი არა, ამ ვაჭარ-ჩარჩებისათვის. ესენი თავის წილს ხომ იღებენ და იღებენ ერთი ათად, მომყვანის წილიც ჩალის ფასად მიაქვთ. ან-კი რა ჰქნას საწყალმა მომყვანმა, სად წაიღოს, ვის მიჰმართოს, როგორ აქციოს ფულად? ისევ ამ კარზე მიმდგარის ჩარჩის წყალობით. და ეს ვაჭარ-ჩარჩი ხომ ნამდვილი ბარბაროსია, ავაზაკია ვაჭრობაში! ათის თუმნის საჭმელი რომ ერთ თუმნად ჩაიგდოს ხელში, ერთხელ არ იტყვის გულში: ამას რადად ვშვრები, ეს ხომ ღვთისა და სინიდისის წინააღმდეგიაო!..

შენი მტერია, რომ ამისთანა დროს მეტოქეობა ვაჭართა შორის არ ეშველებოდეს ჩვენს ხალხს, მისი საქმე წასული იქმნება!.. თიბათვეში, როცა პარკის მოკრების დროა, ისე აირევიან ხოლმე სომეხი და თათარი მეპარკეები, როგორც ბუზები მზიანს დღეში. ეცილებიან ერთმანეთს, დარბიან კარდაკარ, მაგრამ მაინც არ იქნება, რომ გამყიდველი როგორმე არ აზარალონ. თითო პარკის ვაჭარს ორ-სამ ნაირი საწყაო აქვს, რომლებშიაც ექვს გირვანქა პარკზედ ნაკლები ერთმანეთში არ ჩავა. რომელიც რომელს აღაგას მოუხდება, იქ იმით აწყავს. ეს კი ჩვენი და ჩვენის სოფლის დაბალ და მაღალ მოხელეთა უკარგისობაა: ვაჭარი ყველაფერს წონით და ზომით გვაძლევს, ხშირად აქაც გვაკლებს, და ჩვენ-კი ვერ მოვგიხერხებია სახარების სიტყვისამებრ „იმავე საწყაულით მიუწყოთ“, ჩვენ ისევ ჩვენებურის, ქართველურის საწყაოთი ვუწყავთ. ქართველური საწყაო და საზომი-კი რომ მუდამ მეტი და ბარაქიანია აწინდელზედ, ამას დამტკიცება არა სჭირია. ვაჭარიც რა გიჟი იქმნება იუაროს,—ქართველურის საწყაოთი ნუ მაძლევო!..

რაკი მეაბრეშუმეობის საქმე კახეთში ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, არ შეიძლება არ ვისურვო სულით და გულით, რომ მალე, ძალიან მალე გამოსჩენოდეს ამ საქმეს გულშემატკივარი მეთაური (როგორც იმერეთშია) და იმას ეთაოს კახელ მეაბრეშუმეთა საზოგადოების შედგენა, რომ ამით ხალხს და იმისს აბრეშუმის წარმოებას მზიანი დღე დაუდგეს და, თუ არ დაუდგება, გავარდნილი ლუკმა ჯამში მაინც ჩავარდეს. დარწმუნებული ვარ, რომ აქაურ სოფლებში ამ საკეთილო საქმეს მრავალი მომხრე და ხელის შემწყობი აღმოუჩნდება. ჩვენს ქუდოსანთ და მეტადრე მანდილოსანთ ამ საქმეში ბევრი ჩიჩინი არ დასჭირდებათ, რადგან მეაბრეშუმობა ქართველებში ახალი სამეუნო საქმე-კი არ

*) ქართულ ჭიას ეძახიან იმას, რომელსაც მთელი საუკუნოებით საქართველოში გაუტარებია. იმისს თესლს ჩვენი დედაკაცები შინაურულად ამზადებენ. ეხლაც იგონებენ ხოლმე იმისს ღირსებას, მაგარი და კაკლის სისხო ყვითელი პარკი იცოდაო.

# ფელეტონი

### ვისი ბრალია?!..

(სურათი მეთამბაქოეთა ცხოვრებიდგან)

I

იანვრის შუა რიცხვებია. დედამიწას ნელ-ნელა ეხდება ბნელი საბანი.ცა მოწმენდილი აღმოსავლეთის მხარეს გაალისფერებულა. ჯერ მზეს ყური არ ამოუყვია, მაგრამ ცაზე აქა-იქ გაფანტულ-გაბნეული ღრუბლის ნაფლეთები ჰიაფერში ამოვლებული, გრძნეულად ოქრომკედით ნაქარგნახატი გეგონებოდათ. ნელი ნიავი, ეს შიკრიკი მზის ამოსვლისა, დანავარდობს კიდით-კიდემდე და ჩურჩულით დიად სიხარულს მოუთხრობს არსთ, რომელთაც სასიამოვნო ამბის გაგონებასა და სანეტარო წუთის მოლოდინში გული უფანცქალებთ, უთრთით... მხოლოდ სულ სხვა გვარის გულის ძგერით მიისწრაფის აჩქარებით სოსიკა. თუშური ქუდი კეფაზედ გადიწია, უნდა გახურებული შუბლი გაიგრილოს... ერთბაშად შედგა, შეყოყმანდა, მაგრამ ისევ გზას გაუდგა...

— არა, არა, თუმცა ეს ბეზღობა იქნება, წუხანდელ ყრილობაზედ ნალაპარაკევი საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ეს ამას რას დაეძებს... გადაწყვეტილი აქვს თომას რითიმე უმტროს... „შენისთანა ლაწირაკს მე ჩემს დას ეფროსინეს არ მივათხოვებო“... როგორ, მერე რითი მიწუნებენ? ჩემზე მდიდარს სიძეს იშოვნიან თუ? თითონ რაღა შავი ქვა აბადიათ. წრევანდელ თამბაქოს ფულით ნეტავი თავისი ქორწილი გადაიხადოს... მაგრამ იმედი მაქვს, თამბაქოცა და დანიშნულიც ოხრად დარჩეს. კარგა ხანია კიკო მაგაზე კბილ-ნაკრეჭად არის... ეს სიტყვები რომ გაიგოს, ხო...

ამ ფიქრებით სოსიკა კიკოს ქვითკირის ორ სართულიან შენობას მიუახლოვდა. სახლიდგან ყმაწვილების ჟივილ-ხივილი მოისმოდა. ეტყობა ამდგარან. სოსიკამ კარები დააკაკუნა. ხმაზედ იცნეს იგი და სახლში შეიწვიეს, მხოლოდ სთხოვეს, სანამ კიკო პირის ბანას გაათავებდა, მეორე სასტუმრო ოთახში მოეცადა...

წინადაცა ყოფილა სოსიკა კიკოსას, მაგრამ ამ ახლად აშენებულ სახლში-კი პირველად შემოდგა ფეხი. ოთახის მდიდრულმა მორთულობამ პირველად გააოცა სოსიკა, გაშტერებული ხან კედლის საათს შესცქეროდა, ხან ხალ-ხავერდის მუთაქებით დაგებულ ტახტს, ხან კაკლის ხის მაგიდას ზევით კედელზე ჩამწკრივებულს სურათებს... პირველ გაოცების შემდეგ-კი სოსიკას აზრებმა სულ სხვა მიმართულება მიიღო.., კიკოს წარსული წამოეყაჭ-წამოეშალა გონების თვალ-წინ სოსიკას...

რა იყო კიკო ამ ათი-თორმეტის წლის წინად? ერთი ღატაკი, ცარიელ-ტარიელი, დღიურად სხვის თამბაქოში მომუშავე, სხვის თვალსა და ხელში შემხედავი. კიკოს ბედი ცოტა წაღმა მაშინ დატრიალდა, როდესაც ტასო შეირთო. ტასო ოც-და-თხუთმეტის წლის დარჩენილი, მუდამ ჟამ საქმროს მომლოდინე ქალი იყო, როდესაც ახალგაზდა ოც-და-ოთხის წლის კიკომ წამოიყვანა ცოლად. კიკო ქალის ხასიათს, სახის სილამაზე-ულამაზობას არ დაგიდევდა, ოღონდ ცოტაოდენი მზითევი და ქრთამი ჰქონოდა. ტასოსაც მოეწონა შავთვალ-წარბა, ეშხიანი, თუმცა ცოტა შავგვრემანი კიკო და ჯვარი გადიხაპეს. ამ დღიდგან კიკომ თავისთვის საკუთრად დაიწყო თამბაქოს თესვა და ხერხიანადაც წაიყვანა საქმე. კიკომ წლითი-წლობით თამბაქოს თესვას უმატა და თან შეუმავლ პასაც უწევდა თავისს სოფლის მეთამბაქოეთ მდიდარ თამბაქოების მყიდველ გეურქა მყვლეფავიანცთან. ზოგიერთი ბოროტი ენები ლაპარაკობდნენ, კიკოს თავისს საკუთარ თამბაქოში ფუთზედ მანეთი მეტი ეძლევა, სხვა საჩუქრებს გარდა, თუ სოფლელების თამბაქოს იაფად დაუნარჩუნებს გეურქასაო. ოთხ-ხუთ წელიწადში კიკოს ქისა გასუქდა, გაიზარდა. კიკო თამასუქითაც-კი ასესხებდა ფულებს, რაიცა კიკოს ერთ უსაჭიროეს, გამოსადეგ ადამიანადა ჰხდიდა მთელს სოფელში. ამას შემდეგ-კი, რაც კიკომ გეურქა დაინათლიავა, ამის ბედის ვარსკვლავმა კაშკაში დაიწყო. თანდათან იზრდებოდა როგორც კიკოს სიმდიდრე, ისე მეთამბაქოეთა მოკრძალება, გარეგნული პატივისცემა. თითქმის ნახევარი რიცხვი მეთამბაქოეთა კიკოს ფულით აკეთებდნენ თამბაქოს და წინდაწინვე გადაჭრილ მაზანდით უნდა მიეყიდნათ თამბაქო. რაკი ამგვარად ფასი გადაიკვეთებოდა, დანარჩენი მეთამბაქოენიც, რომელნიც ან თავიანთის, ან ნასესხების ფულით აკეთებდნენ თამბაქოს, იძულებულნი ჰხდებოდნენ ასე ოხრად გადაეყარათ თავიანთი ნაშრომი. მაშ რა ექნათ, არა ერთხელ და ორჯელ დარწმუნდნენ, რომ წინააღმდეგობა-ჯიუტობით, ან ქალაქში წაღებით, უფრო უარესი ემართებოდათ.

ბოლოს, გაყიდვის შემდეგ რომ დასხდებოდნენ და ლობიოებით, ან კენჭებით იანგარიშებდნენ დანახარჯს, ანგარიშის ცხრილ ქვევით არა თუ მოგება, ამოდენა შრომისა და უძილო ღამების საფასურიც აღარა რჩებოდა, მაშინ როდესაც კიკო ყველის გუდასავით იჯიკნებოდა ფულით. სოფლელები ყველაფერსა ჰხედავდნენ, იცოდნენ, რა გზითაც მდიდრდებოდა კიკო, საითა ჰქონდა იმას სიმართლის სასწორი გადახრილი, რა ვერაგობით, ეშმაკობით იყო გატენილი კიკო, მაგრამ თავიანთსავე ბოღმას გულში იკლავდ-იმარხავდნენ. ვინ გაბედავდა და პირში სიმართლეს ეტყოდა, რომ შენ ჩვენ სისხლსა სწოვ, ჩვენის ნაშრომ-ნაღვაწით მდიდრდებიო... ბარემ თამბაქოს თესვაზედ ხელი აეღოთ!... გარდა ამისა, იცოდნენ, გაჭირვებაში ისევ მაგას უნდა მივატანოთო, სხვას აბა პირში სული ვის უდგა, რომ ხელი გაგვიმართოსო. მეტი ჩარა არ იყო, თავიანთს ხვედრს უნდა დამორჩილებოდნენ და პირს უკან თუ არა, პირში მაინც ტკბილი სიტყვები ეთქვათ, ეამებინათ რამე, ალერსი, ლაქუცი დაეწყოთ, იმის გამჭრიახობა-სიყოჩაღესა და ჰკუა-მოხერხებულებაზედ ელაპარაკათ. ასეთი ქებათა-ქება ესიამოვნებოდა ტასოსა და კიკოსაც, რამაც უფრო მომეტებულად გააყვინიზა ცოლ-ქმარნი. თავი მოჰქონდათ თავიანთის სიმდიდრით და მამალ ინდოურებისავით იბერებოდნენ. როცა ცოლ-ქმარნი კვეხნას მოჰყვებოდნენ, აბუქებდნენ, უნდა სულ იმათთვის გეცქირათ. თითონაც დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთის სიტყვების სინამდვილეში და მსმენელნიც დაბეჯითებით თავს უკრავდნენ და მოწონების ნიშნად უკვერავდნენ ტრაბახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, არამედ ისტორიულად ძვალ-რბილშია გამჯდარი.

წარსულ წელს აქ აბრეშუმი ბარაქიანად მოვიდა და რიგიან ფასადაც გაიყიდა. მეკომური არ დარჩა, რომ თუმნის პარკი მაინც არ გაეყიდა, ზოგმა ხომ შვიდი-რვა თუმნისაც გაყიდა. საწყალებმა „ფოსტის ფული“ სულ ამ აბრეშუმით მოიშორეს. წარსულ დეკემბერსაც ისევ მოვიდნენ შუშელი კრუები და აბრეშუმის თესლი დაარიგეს იმ პირობით, რომ სხვა ვაჭარს არ მიჰყიდონ! კარგი პირობაა, თუ თქვენც მოგეწონებათ?..

ეს ზამთარი კახეთში თოვლიანი და ყინვიანია. ხალხი მოსავლის პირს იმედოვნებს.

ფშაველიშვილი

# რუსეთი

ამ ჟამად გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ბაღეულობისა, ბოსტნეულობისა და ხილეულობის გასაგზავნ-გამოსაგზავნად კარგი იქმნება რუსეთის რკინის გზებზედ განსაკუთრებული ვაგონები იქმნას შემოღებულიო.

— ოდესსის ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოების მმართველობას განზრახვა აქვს შუამდგომლობა დაიწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ მგალობელ ჩიტების ხოცვა აუკრძალეთ არამც თუ მარტო ოდესსის მიდამოებში, არამედ მთელს იმპერიაში ისევე, როგორც ამ ჟამად პოლშაშია აკრძალულიო.

— განზრახვა აქვთ ყოველ-დღიური გაზეთი გამოსცენ ლატიშურ ენაზედ ქ. პეტერბურგში.

— ამ დღეებში გამოიცემა ახალი წესები ქაღალდის თამაშობის გაწესრიგების შესახებ და ამ წესების შემოღება დაევალება კლუბების გამგეებს.

— გზათა სამინისტროს რკინის გზების საქმეთა საბჭო ამ დღეებში გამოარკვევს იმას, რომ რკინის გზის მოხელეთ საჭიროა რაიმე შეღავათი მიეცეთ კვირა-უქმეებში სამსახურის აღსრულების დროსაო.

— ამ ჟამად სახელმწიფო ზარაფხანაში ვერცხლის ორ-მანეთიანს ფულსა სჭრიან თურმე. ამ გვარად ამიერიდგან ვერცხლის ფული ორ-მანეთიანიც იქმნება და სამ-მანათიანიც.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზ. „Stuttgar Beobochter“ სწერს დრეიფუსის შესახებ: „დრეიფუსს არავითარი საქმე არ დაუჭერია გერმანიასთან და არავითარი ქაღალდები არ გაუცია იმისთვის. იმან მხოლოდ რუსეთს აცნობა, რომ სამხედრო ძალა საფრანგეთისა ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ეს თვით საფრანგეთის მთავრობამ დაუხატა რუსეთს. დრეიფუსს აზრადა ჰქონდა, რომ რუსეთს აეშლებინა საფრანგეთი, რომ ამ უკანასკნელს თავისი ჯარი კარგად მოეწყო და საერთოდ სამხედრო საქმისათვის მეტი ყურადღება მიექცია. ნამდვილად-კი სულ სხვა გამოვიდა: რუსეთმა ეჭვის თვალით შეხედა საფრანგეთს და თავისი ელჩი მორენგეიმი უკან დაიბარა. ხოლო საფრანგეთის მთავრობას დღესაც არა სურს გამოტყდეს, რომ საფრანგეთის სისუსტე იმისმა საუკეთესო მეგობრებმა კარგად უწყიან“.

— სენის ასიზთა სასამართლოს პრეზიდენტმა უკანასკნელად გადასწყვიტა, რომ ზოლასა და გაზ. „L'Aurore“-ს საქმე 26, 27 და 28 თებერვალს იქმნას გარჩეული. მაგრამ გაზეთის სიტყვით, საქმის გარჩევა სამს დღეზედ მეტს გასტანს. გაზ. „Matin“-ი სწერს, რომ ზოლასა და „L'Aurore“-ს ვექილებს მოლაპარაკება ჰქონდათ, რომელზედაც გადასწყვიტეს, ეცადნენ, რომ დრეიფუსის საქმე ხელ-ახლად იქმნას განხილულიო. მათის აზრით დრეიფუსი განსჯილ იქმნა ისეთის საბუთის ქაღალდების ძალით, რომელიც არც დრეიფუს უჩვენეს და არც იმის ვექილს.

**კრიტი.** გაზ. „Neues Wiener Tageblatt“-ს სწერენ კრიტიდგან: „კანდიაში ამ ჟამად 45,000 მაჰმადიანია, მათ შორის 30,000 სხვა ადგილებიდგან გადმოხვეწილი. მეციხოვნენი იმდენად ცოტანი არიან, რომ არ შეუძლიან შეიკავონ მაჰმადიანნი, რომელთა თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს. ამას წინად მაჰმადიანნი დაეცნენ ქრისტიანეთ მაღაზიებს და რაც რამ შიგ იყო უკელაფერი გაზიდეს. მართმადიდებელთა სასაფლაოზედ მათ საფლავები დასთხარეს და კაცის ძვლები წაიღეს. ასეთივე არეულობაა კუნძულის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიაც. მაჰმადიანებს არც ქრისტიანები აკლებენ: სადაც-კი მაჰმადიანთა სარჩო-საბადებელს მოახელებენ, მიწასთან ასწორებენ“.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„სამღვთო სჯულისა და მცნებათათვის მართლმადიდებელ კატეხიზმოს სახელმძღვანელოსაებრ დეკანოზის პეტრე სმირნოვისა, თარგმნილი დეკან. პეტრე კონჭოშვილის მიერ“.

„ვიდრემდის სარწმუნოება მტკიცედ სდგას რომელსამე ქვეყანასა შინა, ის ქვეყანა არ დავარდება, თუმცა გამოიაროს მრავალი უბედურება და მძიმე განსაცდელი“.

გაბრიელ ეპისკოპოსი

ქრისტეს მოძღვრების მიღებამ საქართველო კულტურულის კეთილ-წარმატების გზაზედ დააყენა და საბერძნეთის ერს მტკიცედ დაუკავშირა. ძველთაგანვე შემუშავებული ქართული ენა, რომელზედაც არსებობდა „ნებროთიანი“, ქრისტიანობის მიღების შემდეგ უფრო შემუშავდა, გამდიდრდა, ახალ-ახალი სიტყვები შეითვისა ახალის ცნებების აღსანიშნავად. იმ თავითვე საქართველოს სამღვდელოებამ ნათლად შეიგნო ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ მწერლობას დიდად დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ხალხის ყოვლის მხრივ განვითარებისთვის. ამიტომ სამღვდელოებამ ხელი მიჰყო საღმრთო-საეკკლესიო წიგნების თარგმნვას მშობლიურს ენაზედ; ამავე ენაზედ გადმოთარგმნილ იქმნა მრავალი ნაწარმოები ბერძნულის ღვთის-მეტყველებისა, რამაც ფრიად განამდიდრა ქართული საეკკლესიო მწერლობა... ქართულს ენაზედვე გადმოთარგმნილ იქმნა მრავალი ნაწარმოები საბერძნეთის ფილოსოფიისა.

საქართველოს სამღვდელოება, თეთროსანი და შავოსანი, ერთნაირის თავ-გამოდებით, ერთსულობითა და ერთგულობით სცდილობდა მშობლიურს ენაზედ გაემრავლებინა საღვთის-მეტყველო შინაარსის წიგნები. სად არ შეხვდებოდა კაცი ქართულის საღვთის-მეტყველო მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეებს? არას ვიტყვით საქართველოზედ, სადაც თითქმის თითოეულს მონასტერთან არსებობდა სკოლა და წიგნთ-საცავი, იყვნენ მთარგმნელნი, გადამწერნი და გავიხსენოთ: ანტიოქია, სინას მთა, პალესტინა, ათონი, ულუმბი, კვიპრი და სხვა, სადაც მოღვაწეობდა მრავალი ქართველი ამავე ასპარეზზედ... ასე გასინჯეთ, ამავე საქმისთვის იღვწოდა მდედრობითი სქესი, არა ნაკლებ მამრობითის სქესისა, — საქართველოში და პალესტინაშიაც-კი ჰქონდათ ქართველ ქალებს საქალებო მონასტრები, სადაც ის კურთხეული დედები იღვწოდნენ თვისის აღმზრდელის ეკკლესიის სასარგებლოდ... დღემდის გვატკბობს მეფის ერეკლე პირველის ასულის მაკრინეს მიერ შედგენილი საეკკლესიო საგალობლები, რომელთაც აზით ბეჭედი ღვთის მეტყველებისა, საეკკლესიო ისტორიისა და სხვა საეკკლესიო საგნების ცოდნისა. ეს საგალობლები დაწერილია მშვენიერის ქართულის ენით, რომლის წაკითხვა თვით სარწმუნოებაზედ გულცივს კაცს აღუძრავს ცოტა ხნობით მაინც მიძინებულს სარწმუნოების გრძნობასა... ქართველი დედა თვისს შვილს ზრდიდა თანახმად სახარების უმაღლესის სწავლისა. ტყუილად კი არ ატანდნენ მზითვად ქართველს ქალს სახარებას „ვეფხვის ტყაოსანთან“ ერთად! ამას თვისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ძველი ქართული მწერლობა ფრიად მდიდარია საღვთის მეტყველო შინაარსის ნაწარმოებით, ქართულს ენაზედ არსებობს ბევრი ისეთი ნათარგმნი ხელთ-ნაწერი, რომელთა დედნები დაკარგულია... ასეთი სიმრავლე საღვთის მეტყველო შინაარსის ნაწარმოებისა, სხვათა შორის, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია ქართველის ერის მიერ თვისის თავისებურობის, ენის, სარწმუნოების და მიწა-წყლის დაცვისა... თუ მდიდარი სასულიერო მწერლობა არ ყოფილიყო ქართულს ენაზედ, არც სარწმუნოება შეინახებოდა საქართველოში მტკიცედ და შეურყევლად და ქართული ენაც ან მოისპობოდა სრულიად და ან პირველ-ყოფილს, განუვითარებელს მდგომარეობაშივე დარჩებოდა. საქართველოს საუკეთესო შვილები დიდად აფასებდნენ სარწმუნოებას და მასზედ დამყარებულს ზნეობას: ისინი მათთან შედარებით დიდს მნიშვნელობას არ აძლევდნენ ქართველის ერის სახელოვანს საგმირო საქმეებს და სხვა სამოქალაქო წარმატებათა. კარგად ესმოდათ ის უტყუარი და, დღეს ზოგიერთთაგან უსაფუძვლოდ უარყოფილი, ჭეშმარიტება, რომ უმთავრესი მიზეზი ხალხის კეთილ-დღეობისა, აღყვავებისა და კეთილ-წარმატებისა, არა მარტო ეკონომიური

---

მხოლოდ ამათ სოფელში ერთი დედაკაცი იყო, კიკოს ბიძაშვილის შვილის თომას დედა, ქვრივი ჟუჟუნაური, ამათი მეზობელი, რომელსაც არაფრად ეჭაშნიკებოდა მეზობლების ესეთი გაამპარტავნება და რომელიც მუდამ პირში მიახლიდა ხოლმე, რა შვილებიც ბრძანდებოდნენ ქმარ-ცოლნი. ერთხელ და ერთხელ გადასეულ გადამტერებულთ ერთმანეთი თვალის ეკლად ეჯავრებოდათ და ამის გამო მათ შორის დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა იყო გამართული. ისეთი დღე არ გათენდ-დაღამდებოდა, ტასოსა და ჟუჟუნაურს ერთმანეთი არ ჩამოეწყევლ-ჩამოექოლნათ. უბრალო პირუტყვის, ქათმის ერთმანეთის ეზოში გადასვლა ერთ ვაიუშველებელს გამოიწვევდა ხოლმე იმათ შორის. თუმცა თომასაც გული ემღვრეოდა, უღრინავდა კიკოსა და იმის ცოლს ტასოზედ, მაგრამ პირდაპირ-კი ვერ გაებედნა კიკოსათვის ეწყენინებინა ძლივს ღმერთმა მიშველა, საკუთრად თამბაქოს თესვას მივყავ ხელიო, ჰფიქრობდა თომა, კიკო რომ გადამემტეროს, ხეირს არას დამაყრისო და სცდილობდა თავი შეემაგრებინა, გულის ბუღი გულშივე დაეტრიალებინა, სანამ ბედი საკეთილოდ გაუღიმებდა. მაშინ კი... კბილების კრაჭუნით კიკოანთკენ გაიხედავდა ხოლმე...

აი, ამ სოფლელების ყურთამდისაც მოახწია იმ ხმამ, რომ ქალაქელ ნასწავლ და ღვთისნიერ ადამიანებს მოუნდომებიათ გეურქა მყვლეფავიანცისთანა სისხლის მწოველებისაგან განათავისუფლონ დაჩაგრული მეთამბაქოენი, გამოესარჩლნენ, საწყობი დაუარსონ. ამ სოფელშიაც უნდა მომხდარიყო მეთამბაქოეთა ყრილობა, რომელზედაც კაცები უნდა ამოერჩიათ ქალაქში გასაგზავნად, რომ იმათ აქაურ მეთამბაქოეთა გაჭირვებული ყოფა-მდგომარეობის ამბავი ჩაეტანათ. ამ ხმის გაგონებისათანავე თომა სიხარულისაგან ცას დაეწია. ეხლა-კი იმედია, კიკოსა და ტასოს პამპლაუქობას ბოლო მოეღებაო, ჰფიქრობდა თომა. მაშინ არაფერში ხომ მაინც აღარ დაეფერება, დიდის ხნით მოგუბებულს ბრაზს ხომ გაჰხეთქავს. აი, თომა ხან ერთ მეთამბაქოეს ეჩურჩულება, ხან მეორეს.. ყრილობა ისე მოახდინეს, რომ კიკოს არ შეატყობინეს. სოსიკას უნდა ეს საქმე სულ თომას მიახვიოს თავზე, კიკო და თომა უფრო მომეტებულად გადაამტეროს ერთმანეთს, თომა დაჰლუპოს და ამითი ჯავრი ამოიყაროს...

— ფეხზე რას უდგევხარ კაკო, ვერ ჩამოჯდებოდი? ამ სიტყვებით გამოვიდა კიკო მეორე ოთახიდგან. გოგომ ჩაი მოართვა და მაგიდას მოუსხდნენ დაუპატიჟებელი სტუმარი და სახლის პატრონი. სოსიკამ ჯერ შორიდგან დაიწყო საქმე, მაგრამ, როდესაც თამბაქოს შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, დიდხანს აღარ დააცადა და გულის ფანცქალით დაიწყო.

— შენი ცოდვა არა მაქვს, იმათ ჩვენ ხეირში არ შეგვიყვანონ!.. შენ ნათლია გეურქასაც შემოვიწყრობებთ და ისინიც ვერას გვიშველიან...

— ვინ ისინი, რას ამბობ, სოსიკავ?

— მეთამბაქოებს უნდათ შენ დაგიმალონ, მაგრამ ეხლანდელ დროში რა დაიმალება, შენი ჭირიმე.

— როგორ თუ დამიმალონ, სწორეთ მითხარ კაცო?

— სწორეთ სული ნუ ამომივიდეს, თუ სწორეთ არ გითხრა. მე იმათი ლაყბობისა არა მწამს-რა და იმისთვის მოვედი, შენთვის შემეტყობინებინა. წუხელის ჩვენებურ მეთამბაქოებს ყრილობა ჰქონდათ, კაცები უნდა ამოვირჩიოთ ქალაქში გასაგზავნად, იქ ნასწავლმა ხალხმა თამბაქოს საწყობი უნდა დაგვიარსონო, რომ ჩვენს თამბაქოს პატარა ფასი დაედოს და ესემუქთად აღარ ჩავუგდოთ ხოლმე ხელში გეურქასთანა მყვლეფავიანცებსაო.

— მერე მე რატო არ შემატყობინეს?

— ეს კიკოს საზარალო საქმე იქნება, ამით ძალიან მოექრება კბილიო და ამისათვის იმას ეს არ ესიამოვნება, ხელს შეგვიშლის, კაცებს აღარ გაგვაგზავნინებსო. ყველაზე მეტად შენ წინააღმდეგ შენმა ბიძაშვილიშვილმა თომამ ილაპარაკა. ეს რად გინდა, სამი-ოთხი დღეა მეთამბაქოებში დაძვრებოდა მელასავით და ყველას იმას ჩასჩიჩინებდა: „კიკოს ყრილობაზე ნუ დაუძახებთ, რადგანაც ეგ ჩვენს საქმეს ჩაჰფუშავსო. თქვენ ხო იცით, კიკო რა იუდის კერძი, დედის ძუძუს მომჭრელია; თავისს სარგებლობის გულისათვის ღვიძლს ძმას არ დაინდობსო. ქრისტე ღმერთსაც-კი ციდგან რომ ფეხები ჰქონდეს ჩამოკიდებული, მოაჭამდა, თუ რასმეს გამორჩებოდაო“... და ბევრს ამისთანას ელაპარაკებოდა ხალხს...

ამ სიტყვებმა კიკოს ცოფი მოურია. აღარ იცოდა ჯავრისაგან, რა უნდა ექმნა, კბილებს იღრჭიდა, იქაურობას ანიელი აუტეხა, სკამებს აქეთ-იქით ისროდა, არახუნებდა, ბოლმა არჩობდა, სიტყვის თქმა ველარ მოეხერხებინა, ყელში ახრიალებდა. იმ საათში თომა რომ ჩავარდნოდა ხელში, გულ-მუცელს გამოაღადრიდა. აქამდისაც ალმაცერად უყურებდა თომას, მაგრამ ეხლა სულ სხვაა... ამ ხმაურობაზედ ტასოც შემოვიდა; ქმრის გაჯავრების მიზეზი გაიგო თუ არა, ვაი ქვასა და წყალს, ისე გაწიწმატდა ტასო, ისე აპილპილდა, რომ აღარ იცოდა რასა ჰროშავდა მოშლილ წისქვილივით. ქვეყნის ლანძღვა-გინება და სარიელი რომ მოიდო თომასა და იმის დედა ჟუჟუნაურზედ, ახლა თომას დანიშნულს გადასწვდა. რას იტყოდა ენა და პირი, იმას არ მოუგონა. ამით რომ ცოტა გული მოიოხეს, კიკომ გადასწყვიტა: „ხვალვე ქალაქში წავალ და ფუჭად არ ჩავატარებ ესე ჩემს ქვეყანაში გამოსალმებას, გამოჭენებასაო“. სოსიკამ დაინახა, რომ იმისმა გველურმა, შხამ-გესლით გაჩურთულ-გატენილმა ენამ გასჭრა, სხვა რაღა უნდოდა, ადგა და გამოეთხოვა კიკოს, რომელიც სამაგიეროდ მალე თამბაქოს გაყიდვას დაჰპირდა. სოსიკას წასვლის შემდეგაც ცოლ-ქმართ საღამომდის ენა-პირი არ დაუყენებიათ... მართლაც, მეორე დღეს კიკო დილიჟანში იჯდა და ქალაქისაკენ მიეშურებოდა. რა ათას გვარ აზიზილ-პიპილებულს, გარდამეტებით გაზვიადებულს აზრთა კონას არა სთხზავდა იმისი ბოროტებისაგან მოზღვავებული ფიქრ-გრძნობა. თუმცა კიკოს ლეში დილიჟანში ირწეოდა, იმისი სული და გონება მყვლეფავიანცთან რბიოდა და ათას გვარ მალაყებს გადადიოდა...

ე. მ——შვილი

(დასასრული იქნება)

კეთილდღეობაა, არამედ მასთან ერთად ზნეობა, რომელიც სხვა არა არის-რა, თუ არ ცხოვრება თანახმად იმ „სიტყვისა, რომელიც გამოვალს პირისაგან ღვთისა“ ე, ი. თანახმად საღმრთო ნებისა, რომელიც გამოთქმულია საღმრთო სჯულში.

რუის-ურბნისის კრება, წმ. მეფის დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს მოწვეული, ამბობს, რომ ამ მეფეს უმეტესად სურს, რათა „მოდავაწე იქმნეს განზრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა, ვინაიდგან ესენი დაუსრულებლობისა თანა ღვთისასა თანა დაუსრულებელ არიან“. იგივე კრება ამბობს, რომ უსჯულოებამ სრულიად აღმოფხვრა ქვეყანით სახსენებელი ასურისტანელთა. მანვე დიდი იგი ნათესავი სომეხთა მეფობითურთ და მთავრობით მათით. არაოდენ დაამდაბლა და დაამხვა, არამედ სრულიად აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთა ვერვინ ჰპოოს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისა. ბილწებამან სპარსთა საშეფო მიწამდე დამდაბლებულ ჰყო... აი ასეთი შეხედულება ჰქონდა ქართველს მოწინავე საზოგადოებას სარწმუნოებისა და ზნეობის მნიშვნელობაზედ,—და ეს მნიშვნელობა ამათ არაოდეს დაეკარგებათ, ვიდრე ადამიანი ადამიანად იქნება, ვიდრე აქვს იმას „ხატება ღვთისა“... აი ამისთვის ასე თავგამეტებით იღვწოდა ქართველი სამღვდელოება ხალხში სარწმუნოება-ზნეობურის შინაარსის წიგნების გავრცელებისთვის... საუკეთესო მეფეები, ერთგულნი შვილნი ეკლესიისანი, აქეზებდნენ სამღვდელოებას სკოლებისა და მწერლობის საშუალებით ხალხში სასულიერო განათლების გავრცელების საქმეში ..

მართლაც, ურწმუნეობოდ და უზნეობოდ ადამიანი რა ადამიანია?! ბუნებას მხოლოდ პირუტყვთათვის არ მიუცია გრძნობა სარწმუნოებისა, თორემ ადამიანისთვის ის უპირველესს და უუსაჭიროესს გრძნობას შეადგენს... ჩვენი ძველები შემკული იყვნენ უხვად ამ ძვირფასის გრძნობით. როგორც ბრძანებს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი „სარწმუნოებამ დაიცვა და შეინახა ჩვენნი წინაპარნი. უკეთუ იმათ მრავალთა ჭირთა და განსაცდელთა შორის არ შეენახათ მართლ-მადიდებელი სჯული, აღარ იქნებოდა ქვეყანაზედ არცა სახელი ჩვენი, არცა ენა“ (ტომი პირ. გამოც. 1884 წ. გვ. 392). მაგრამ ჩვენ არღა ვიგონებთ ჩვენთა წინაპართა ცხოვრებას და საქმეებსა და არც იმათს ცხოველს სარწმუნოებასა, რომელმაც ქართველს ერს მიანიჭა ყოველივე ის, რითაც მას შეუძლია დღეს იამაყოს თავ-მომწონედ კაცობრიობის წინაშე... საუბედუროდ, ამ საუკუნეში, ოდეს მშვიდობა გამეფდა კავკასიის ცის ქვეშე, ქართველს ხალხს ძლიერ დაეტყო გულ-გრილობა სარწმუნოების საქმეში. იგი გაურბის ეკკლესიას, გულ-აცრუებულია სარწმუნოებაზედ...

საჭიროა, ჩვენმა სამღვდელოებამ უწამლოს რამე სარწმუნოებაზედ გულ-აცრუვებულს ხალხსა და განუძლიეროს სიყვარული სარწმუნოებისა და ეკლესიისა. იგი ამას იმითაც შეიძლებს, სხვათა შორის, უკეთუ უქადაგებს ხშირად სამრევლოს ეკკლესიაში და მის გარეშე... ამას გარდა სარწმუნოება-ზნეობურის შინაარსის წიგნების გავრცელება ხალხში მშობლიურს ენაზედ ერთი უძლიერესი საშუალებათაგანია ამავე საგნის მისაღწევად... ამისთვის ჩვენ სიხარულით მივეგებებით იმ წიგნის დაბეჭდვას, რომლის სათაურიც ზემოდ ამოვწერეთ. ეს წიგნი შედგენილია ერთის ყოვლად ნიჭიერის და მრავალ ნაყოფიერის, რუსეთის ეკკლესიის სასიქადულო მწყემსის, დეკანოზის მამა პეტრე სმირნოვის მიერ, რომელიც დღეს თავმჯდომარეა უწმიდესს სინოდთან დაარსებულის სასწავლო კომიტეტისა.., ამ წიგნში განმარტებულია „ათი მცნება“ მოსე წინასწარმეტყველისა, ეს საფუძველი ახალის აღთქმის სწავლა-მოძღვრებისა... ეს მცნებანი სინამდვილით, სიმარტივით და ხალხისთვის ადვილად გასაგებად განმარტებულია დეკანოზის პ. სმირნოვის ხსენებულს წიგნში... დეკანოზს მამა პეტრე კონჭოშვილს ეს ფრიად სასარგებლო წიგნი ქართულს ენაზედ გადმოუთარგმნია და დაუსტამბავს. ჩვენ შევადარეთ დედანი თარგმანს და უნდა ვთქვათ, რომ სინამდვილით და სისწორით გადმოცემულია დედანის შინაარსი ქართულს ენაზედ... ასეთის სინამდვილით და სისწორით გადაცემა დედანის შინაარსისა რომელსამე სხვა ენაზედ შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ეს შინაარსი შეგნებით და ღრმად აქვს შეთვისებული, ვინც იცის ზედ-მიწევნით ის ენა, რომელზედაც დედანია დაწერილი, და აგრეთვე ის ენაც, რომელზედაც უნდა გადათარგმნილ იქმნას რომელიმე ნაწარმოები. ეტყობა, მ. კონჭოშვილს, ამ პატივცემულს მოძღვარს, დიად ღრმად მოყვარულს ეკკლესიისას და სარწმუნოებისას, შეგნებით შეუთვისნია შინაარსი ზემოთ-ხსენებულის წიგნისა და, როგორც ქართულის ენის ღრმად მცოდნეს, გადმოუცია ეს შინაარსი ადვილად გასაგების, წმინდა ქართულის ენით... ამის გამო თარგმანი საადვილო საკითხი და გასაგებია, ის ისეთი მძიმე და ძნელი გასაგები არაა, როგორიც არის ფილარეტის კატეხიზმოს ქართული თარგმანი, რომლის კითხვით შეიძლება კაცს ენაცკი მოსტყდეს.

ამ წიგნის გაცნობა აუცილებელად საჭიროა იმისთვის, ვისაც სღვთისმეტყველო განათლება არ მიუღია და ჰსურს-კი ეკკლესიას ემსახუროს. ესევე წიგნი დიდს სამსახურს გაუწევს იმ მასწავლებელთ, რომელნიც საღმრთო სჯულს ასწავლიან. სკოლებში არა ნაკლებ საჭიროა ეს თარგმანი იმ ქართველის მოსწავლეებისათვის, რომელნიც კატეხიზმოს რუსულს ენაზედ სწავლობენ. ისე ცოტაა ქართულს ენაზედ სასულიერო შინაარსის წიგნები დასტამბული, რომ თითზედ შეიძლება იმათი ჩამოთვლა, იმედი გვაქვს, რომ დეკ. მამა პ. კონჭოშვილი სხვა წიგნსაც შესძღვნის სასულიერო შინაარსისას ქართულს ღარიბს საეკკლესიო მწერლობას.

ფარი

## დამაკვირდი

—

დაგპირდებით, რომ გულ-ახდილი ვიქნები, მაგრამ მიუკერძოებლობას პირობას-კი ვერ მოგცემთ.

გიოტე

•••

აღუსრულებელი ოცნებანი ხშირად ნაადრევი, ჯერ მოუმწიფებელი ჭეშმარიტებანია.

ლამარტინი

•••

მირი უოკლისა კეთილისაჲ ესე არს: სარწმუნოებაჲ შეურყეველი, მარხვაჲ სიწმიდით, ლოცვაჲ და ვედრებაჲ გულსმოდგინედ, გლახაკთ მოყვარებაჲ, სტუმართ მოყვარებაჲ, უცხოთა შეწყნარებაჲ.

იოანნე ბოლნელი

## უცხო ალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როდესაც ამერიკელთა შორის ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე მდიდარ კაცთა შესახებ, ასე ამბობენ, ეს კაცი 100 ან 200 მილიონადა „ჰღირსო“—და ამით, რა თქმა უნდა, ის კაცი ფასდება. შეერთებულ შტატებში 75,310 მეტად მდიდარი კაცია, რომელთა სიმდიდრეს შეადგენს 34 მილიარდი 300 მილიონი დოლლარი (დოლლარი 2 მანათია). ეს ფული მთელის შტატების სიმდიდრის ნახევარს უდრის. ამ მდიდარ კაცთა შორის არის 6,300 მდიდარი კაცი, რომელთა სიმდიდრე შეადგენს 17 მილიარდს 500 მილიონ დოლლარს. ამერიკის მილიონების პატრონთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს ვანდერბილტს. ამ შესანიშნავ მდიდარ კაცის წინაპარს კაპიტანს ვონდერ ბილტს დარჩა 100 მილიონი დოლლარი და ცამეტი შვილი. 8 წლის შემდეგ ვანდერბილტის უფროსს შვილს ჰქონდა 285 მილიონი. ამ დროს ვანდერბილტების საქმეთა გამგეობა ჩაბარდა კორნელი ვანდერბილტს. კორნელი ამ ჟამად 50 წლისაა და 100 მილიონის შეძლება აქვს. ძლიერ მშრომელი კაციც იყო აქამდე და თავისს 75 რკინის გზის ლიანდაგს განაგებდა. ეხლა დამბლად დაეცა და ავად არის. 1870 წელს კორნელი ვანდერბილტმა შეირთო ალისა გვინნი, ხელმწიფის ალფრედ დიდის შთამომავლობის ქალი. არ ითქმის, რომ ამ აუარებელ სიმდიდრესთან ერთად კორნელი ვანდერბილტი ბედნიერიც იყოს. მისი უფროსი ვაჟიშვილი უდროოდ გარდაიცვალა, მეორე ვაჟიშვილი კიდევ, როგორც ჩვენში იტყვიან, კარგი არ გამოადგა, ე. ი. საქმეს ვერ უძღვება. 1896 წ. ვანდერბილტის ერთს ქალს ქრთამად ჰქონდა 250 მილიონი დოლლარი! მისს გლენდი ვანდერბილტს მზითვად ეძლევა 75 მილიონი დოლარი, მისს ტეილოს ვანდერბილტს 35 მილიონი.

მეორე მდიდარი კაცი ამერიკაში ასტორია. ამ ჟამად ეს ასტორი ინგლისში სცხოვრობს, სადაც 31 მილიონ ფრანკად უყიდნია მშვენიერი სასახლე. ამ ასტორმა თავისი ქალი მანჩესტერის ჰერცოგს მიათხოვა და თითონ-კი, ასე ამბობენ, ინგლისის პრინცის ქალს ირთავსო.

ყველაზედ მდიდარი კაცი ამერიკელ მდიდარ კაცთა შორის არის როკფელერი. ამ კაცმა თითონ შეიძინა ერთი მილიარდი. ამასთანავე ეს მდიდარი კაცი ქველ-მოქმედიც არის. 50 მილიონი ფრანკი შესწირა ჩიკაგოს უნივერსიტეტს. ორი იმისი ქალი გათხოვილია. ერთი ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორსა ჰყავს ცოლად, მეორე ერთის მდიდარის მექარხნის შვილს. ერთი ვაჟიშვილი ჯერ უნივერსიტეტში სწავლობს და ერთი ქალიც გასათხოვარია. ამ ქალის მზითვისათვის მამა ყოველ წელიწადს ბანკში 50 მილიონს ინახავს. (მე ვიცი, არავინ თხოვობს ამ ქალს!).

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

27 იანვარი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა კვლავ ნება დართო გაზეთ-ჟურნალ „გრაჟდანინს“ განხადებების ბეჭდვისა.

**პარიჟი.** დიდ-ძალის ხალხის თანადასწრებით დაიწყეს ზოლას საქმის გარჩევა. საქმის გარჩევა დაიწყეს 12 საათზედ. ხალხი თანაგრძნობით მიეგება როშფორს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ მცირეოდენი უწესოება მოახდინა ხალხმა, ყველას გარედ გავიყვანო. ზოლას მოსვლის დროს ზოგიერთებმა დაიძახეს გაუმარჯოს ზოლას! ზოლა ძლიერ ფერმკრთალია. ჯერ-ჯერობით სიტყვა წარმოსთქვეს პროკურორმა და ზოლას ვექილმა. ზოლას ბრალი ედება, რომ სასამართლოს წინააღმდეგ წერილი დაჰბეჭდა და ამით უნდოდა, რომ დრეიფუსის საქმე ხელ-მეორედ გადაესინჯათ. ვექილმა სთქვა საჭიროა მოწმები მოვიწვიოთო. საქმის განაჩენი ხვალისათვის გადაიდო.

**ვენა.** საერო განათლების მინისტრმა ბრძანება გასცა მთელის სემესტრით აღკვეთილ იქმნას სწავლა ყველა ნემეცურ უნივერსიტეტში, გარდა სღვთიმეტყველო ფაკულტეტისა.

## წერილი რედაქციის მიმართ *)

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც შემოსწირა ჩვენდამო რწმუნებულს კარდენახის სამკითხველოს წიგნები, ღირებული 33 მ. და 60 კაპ. აგრეთვე იმათაც დიდს მადლობას ვუძღვნი, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი შემოწირულება ხსენებულ სამკითხველოსთვის. სია შემომწირველთა: კნეინა ელენე აფხაზისამ, იოსელიანის ასულმა, 6 მან., ელისაბედ გრიგოლის ასულმა საგინოვისამ—4 მ., კონსტანტინე ტიმოთეს ძემ ბაღაშვილმა— 4 მ., კნ. ნინო ზაალის ასულმა ანდრონიკაშვილისამ—3 მ., ალექსანდრა ნიკოლოზის ასულმა კნ. ანდრონიკაშვილისამ 3 მ., კნ. დარია დიმიტრის ასულმა ფავლენიშვილისამ 3 მ., სვიმონ დავითის ძემ ანდრონიკაშვილმა 3 მ., ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა კნ. ერისთავისამ 2 მ., მარიამ ესტატეს ასულმა კნიაჟ. ვახვახოვისამ 2 მ., ივანე გიორგის ძემ თავ. ანდრონიკაშვილმა 2 მან., მიხეილ ასლანის ძემ თავ. ვაჩნაძემ 2 მ., ვარვარა სვიმონის ასულმა სტრელბიცკისამ 2 მ., კნ. თამარა ალექსანდრეს ასულმა აბაშიძისამ 2 მან., კნ. ნატალია ბაადურის ასულმა ვაჩნაძისამ 1 მ., გეურქ ოსეფოვმა 1 მ., მიხა დანილოვმა 1 მ., ვასო ფარსადანოვმა 1 მ., ლეო დარაშვილმა 50 კ., ვანო ასატუროვმა 50 კ., სვიმონ არუთინოვმა 50 კ., ანდრია მათიაშვილმა 50 კ., წყალობა არუთინოვმა 50 კ., იაგორ ნიკოლაშვილმა 50 კ., სანდრო ზურიევმა, გიქო ოთაროვმა, ნიკოლა ოაკიმოვმა, ვანო შლამოვმა შემოსწირეს საჭირო ნივთეულობა; ალექსანდრე ივანეს ძემ ლომანმა 23 ცალი რუსული წიგნი, კონსტანტინე ტიმოთეს ძემ ბაღაშვილმა 70 ცალი რუსული და ქართული წიგნი, ნიკოლოზ გიორგის ძემ თავ. ვახვახიშვილმა 68 ცალი რუსული წიგნაკი, თავ. იასონ რევაზის ძე ვაჩნაძემ ორის წლის ჟურნალი მოამბე, ერთი წლის ჟურ. „იმედი“ და შვიდი ცალი როსტომაშვილის გამოცემა, თავ. ივანე დავითის ძე ანდრონიკაშვილმა 17 ცალი რუსული წიგნი, კნეინა ქეთევან ესტატეს ასულმა აფხაზისამ 35, კნ. ელენე ილიას ასულმა აფხაზისამ 55, ნინა სვიმონის ასულმა კნიაჟ. ანდრონიკაშვილის ასულმა—10 ცალი რუსული წიგნი, ელენე იოსების ასულმა კნიაჟ. ანდრონიკაშვილის ასულმა—6 ცალი ქართული და 2 ცალი რუსული წიგნი, თებრონია ლუარსაბის ასულმა კნ. ვაჩნაძისამ —3 ცალი ქართული წიგნი, კნ. მარგალიტა ალექსანდრეს ასულმა აფხაზისამ—ერთის წლის „კვალი“ და ერთი ცალი ქართული წიგნი, სვიმონ სპირიდონის ძე ფერნაძემ—ქართული წიგნი ღირებული 2 მ. 50 კ., თავ. ალექსანდრე ზაალის ძე ვაჩნაძემ—ერთის წლის „Нива“-ს ნომრები. ბ-ნმა მაჩხანელმა—7 წიგნაკი, ბ-ნმა როინაშვილმა—23 ცალი ქართველ მწერლების სურათები. დიდს მადლობას ვუძღვნით სვიმონ სპირიდონის ძე ფერნაძეს, რომელმაც გააკეთებინა ჩარჩოები ხსენებულ სურათებისთვის, აგრეთვე კნეინა ელისაბედ ქაიხოსროს ასულს ვაჩნაძისას და კარდენახის სოფლის მასწავლებელს ბ-ნს ფურცელაძეს, რომელთაც პირველმა დაგვითმო უფასოდ ოთახი და მეორემ იკისრა წიგნთ-საცავის მართვა უსასყიდლოდ.

კარდენახის სამკითხველოს გამგე კნ. ელენე ილიას ასული აფხაზისა

*) ბოდიშს ვითხოვთ მადლობის დაგვიანებისათვის.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა თდა მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| ამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . . | „ | 10 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Января 1868 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.